**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბლის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
**კანტორა რედაქციისა:** მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

**ხელის-მოწერა:** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.
**ფასი განცხადებისა:** დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., პატარა-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ოთხი თვის ხელის-მოწერა

## „დროებაზე"

1 სეკტემბრიდამ ამ წლის დამლევამდე

მიიღება თფილისში, „დროების" რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების" აგენტებთან.

**ფასი ოთხი თვის გაზეთისა—4 მან.**

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".*

ცალკე ნომრები

## „დროებისა"

თფილისს გარდა შემდეგ ქალაქებში ისყიდება.

**გორში**—რკინის გზის სტანციის ბუფეტში.

**ქუთაისში:** სვიმონ ჩომახიძესთან, ტიპოგრაფიაში, ბულვართან,

**ბეჟათუბანში**—სტანციის ბუფეტში,

**ხაშურში** (მიხაილოვში)—სტანციის ბუფეტში,

**ოზურგეთში**—თუმანოვის მაღაზიაში,

**ახალციხეს**—უფ. ილ. ვარძელოვის მაღაზიაში.

# ტელეგრამმები

### ბრძოლის ველიდამ

**რაგუზა,** 15 სექტემბერს. ჩერნოგორიელები ზაჩკოს ციხეს მიადგნენ ასაღებად.

**ვენა,** 15 სექტემბერს. დეპუტატების პალატის სხდომაზე მინისტრმა აუერსპერგმა სთქვა, რომ ჯერ-ჯერობით ავსტრო-ვენგრიის ნეიტრალური მდგომარეობა უჭირავსო; მაგრამ, თუ სერბია ბრძოლაში გაერია, მაშინ კი არ ვიცი რა გადაწყვეტილებას მიიღებსო.

**ლონდონი,** 16 სექტემბერს. გუშინ გლადსტონმა ნოტინგამში წარმოსთქვა აღმოსავლეთის საქმეებზე სიტყვა, რომელშიაც ის აზრი გამოხატა, რომ ბრიტანიის მმართებლობას სხვა სახელმწიფოებთან ერთად რომ ეცადნა და დაეცვა ოსმალეთის ქრისტიანები, მაშინ ამ რუს-ოსმალოს ომის თავიდამ აცილება შეიძლებოდაო. ამასთანავე გლადსტონმა მოითხოვა, რომ ინგლისის ელჩის ლეიარდის საშუალებით მოკრიბონ ცნობები იმაზე—თუ რამდენი დატყვევებული რუსები იმყოფებიან ოსმალების ხელში.

# ომის ამბები

### აზიის ბრძოლის ველიდამ

„პოლიტიკურს კორრესპონდენციაში" დაბეჭდილია თფილისიდამ 27 აგვისტოს გაგზავნილი კორრესპონდენცია, შესახებ ყარაიალთან ჩვენის ჯარის დაწყობისა; ორიოდე ალაგი მოგვყავს ამ კორრესპონდენციიდამ:

„მთავარი კვარტირა ალექსანდრაპოლის კორპუსისა ყარაიალსა და ყარაგეზს შუა არის დაბანაკებული.

„ქურუქ-დარასა და ყარაიალს შუა დგას კავკასიის გრენადერის დივიზია 4 ბატარეით. აღმოსავლეთით დგას სამეგრელოს პოლკი 6 ბატარეით; დასავლეთით, ყარაიალის მთის ფერდზე, გურიის ცხენოსანი ჯარი. უველაზე წინ დგანან: დაღესტნის ორი პოლკი, შურაგალის ცხენოსანი ჯარი და დრაგუნის პოლკი თავის არტილერიით.

„ყველა ამ ჯარის უფროსად დანიშნულია ლენ.-ლეიტ. გეიმანი.

„39 და 40 ქვეითა დივიზია, ქართველების ცხენოსანი დრუჟინა, აგრეთვე ჩეჩნებისა და დაღესტნის ორი ცხენოსანი პოლკი და ყაზახები სოფ. ბაირახტართან დგანან. ამათი უფროსი ლენ.-ლეიტ. დეველია.

„ყარაიალის ბანაკი ჩინებული საომარი ალაგია; ის ხელის-გულივით დასჩერებია მუხთარ-ფაშას ჯარის ბანაკებს და ყველა იმის სიმაღლეებს."

—

ამავე გაზეთის ალექსანდრაპოლელი კორრესპონდენტი იწერება, რომ არტაანის რუსის ატრიადს, რომელსაც ადრე ძველი სისტემის თოფები, ჰქონდათ, ახლა ახალი (ბერდანის) თოფები დაურიგესო. მაგრამ ოსმალოს თოფებთან რომელნიც 1800—2,000 ნაბიჯზე ისვრიან, ეს თოფები მაინც ვერ მოვლენო.

—

თუ როგორი სიცრუვე იბეჭდება ხან დისხან უცხო ქვეყნის გაზეთებში, ამისდასამტკიცებლად შემდეგი ტელეგრამმა მოგვყავს „Journal de Genève"-ის რედაქციაში სტამბოლიდამ 2 ენკენისთვეს მიღებული:

„მუხთარ-ფაშას ტელეგრამმა მოვიდა აქ, რომელიც გვაცნობებს, რომ ჩვენი (ოსმალოს) დიდძალი ჯარი მიუახლოვდა არტაანს თუ არაო, რუსებს შეეშინდათ, თავს არ დაგვეცეს ამდენი ჯარიო, იმწამსვე მიატოვეს ეს ქალაქი და ემირ-ოღლუში გადაბანაკდნენ."

—

ჟენევის გაზეთს „Journal de Genève"-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი ტრაპიზონიდამ მიღებული:

„როგორც ამას წინათ გაცნობეთ, ოსმალოს მთავრობის განკარგულებით, ტრაპიზონში თითქმის მუდამ დღე გამოჰყავთ სოხუმიდამ გადმოსახლებული აფხაზები. ამბობენ, მარტო მცირე აზიაში 50,000 კაცი უნდა დაასახლონო.

„ეს გარემოება ძალიან აფიქრებს აქაურებს. ეშინიანთ, ვაი თუ ეს უსახლკარო და ულუკმა-პურო ხალხი ტრაპიზონში და იმის მახლობლად სადმე დაასახლონო, მოსვენება არ გვექნება ამათგანაო.

„მე გავიგე, რომ ვისაც კი ამ აფხაზთაგანს თოფ-იარაღის ხმარება შეუძლიან, ჯარში უნდა ჩარიცხონ და მუხთარ-ფაშას არმიას მოუმატებენო."

### ევროპის ბრძოლის ველიდამ

ზოგიერთი ნემეცური გაზეთები, სხვათა შორის „Presse" და „Tagblatt", გვაცნობებდნენ ამას წინათ, რომ პლევნა და იმაში გამაგრებული ოსმან-ფაშას ჯარი ისეთ ნაირად არის რუსის არმიისაგან გარშემორტყმულიო, რომ ოსმალებს ამ ქალაქში შემოსავალი და გასავალი გზა აღარ აქვთ და ამის გამო ოსმან-ფაშას ჯარს სურსათი და ტყვია-წამალი შემოაკლდაო.

ეს ამბავი, რომ სრულიად მართალ

არ ყოფილა, ამაში გვარწმუნებს გუშინდელს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ბორნი-სტუდენიდამ ოფიციალური ტელეგრამმა, რომელიც ამბობდა, რომ 10,000 კაცი ოსმალოს ჯარი თავის არტილერიით შევიდა პლევნოში.

—

რუსულს გაზეთს „„Новое Время“-ში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა:

„ბუხარესტი, 8 სექტემბერს. ორშაბათს, დილის სამ საათზე, დიდ ძალი და საუკეთესო ჯარი სულეიმან-ფაშისა დაგვეცა ჩვენ შიპკოსთან; იმათი განზრახვა იყო, ხელ-ახლად წაერთმიათ წმ. ნიკოლაის მთა. შესანიშნავი მხნეობა გამოიჩინა ჩვენმა ჯარმა; იმან უკუ-აქცია მტერი საშინელის ზიანით. ექვსი საათის განმავალობაში თოფისა და ზარბაზნის სროლა არ შეწყნარებულა; ოსმალოებმა 3,000მდინ დახოცილები დასტოვეს ბრძოლის ველზედ. ორივე მხრით მებრძოლნი საშინლად გაბრაზებულნი იყვნენ: არც ჩვენებს და არც ოსმალებს ტყვეები არ აუყვანიათ, ვისაც ჩაიგდებდნენ ხელში, შეუბრალებელად ხოცდნენ.“

—

ფრანცუზულ გაზეთს „Le Temps“-ში დაბეჭდილია ვენიდამ 9 სექტემბერს მიღებული ტელეგრამმა, რომელიც გვაცნობებს, რომ დ. მ. მემკვიდრის არმიას, რომლის უმთავრესი ძალა ქ. ბელას მახლობლად სოფ. ბეიბუნარში არის დაბანაკებული, ამ ჟამად გაცხარებული ბრძოლა აქვსო, და ამის გამო რუსები ახალ ჯარს აგზავნიან იმის მისაშველებლადაო.

—

ვენის გაზეთი „Presse“ იწერება, რომ დუქის ხევის აღების დროს ჩერნოგორიელებმა გასაკვირველი მხნეობა გამოიჩინესო; და ამ დროს იმათ, სხვათა შორის, 160 კაცი ოსმალოს სალდათი ნრტეთ აიყვანესო.

# საქართველო

## დღიური

*** მოგვყავს კიდევ ორიოდე ალაგი გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილის ლაგოდახის კორრესპონდენციიდამ, რომელიც იქითკენ ლეკების თავს-დასხმას შეეხება:

„6 სექტემბერს, დილით, კიდევ გავარდა ხმა, რომ ლეკები დაგვეცნენო. ხალხი ისევ „კარეში“ შეგროვდა, დედაკაცები თავის შვილებით და ბარგი-ბარხანით. დიდ ხანს არა ისმოდა-რა—თუ სად, რამდენი კაცი და ვის დაეცა.

„ბოლოს შევიტყეთ, რომ ლეკები მაიორის სულიკოვის სახლს დასცემიან ლაგოდახიდამ ორს ვერსზედ; იმათ მოუკლავთ იქ 10 დაუიარაღებელი ქართველი მეთუთუნეები.

„შირვანის პოლკის პირველი ბატალიონის უფროსი მაიორი ღოღობერიძე, რომელიც ერთის როტითა და 60 ყაზახით წავიდა კარათუბანში, საღამოს მოვიდა და მოიტანა ამბავი, რომ იქითკენ ლეკებს 40 კაცი მოუკლავთ. ამათი გვამები დღეს, 7-ს, მოასვენეს აქ და დაასაფლავეს. იმან მოიყვანა აგრეთვე 6 დატუსაღებული ლეკი.“

*** განჯიდამ იწერებიან, რომ იქაურს საზოგადოებაში 730 მანეთამდინ მოუგროვებიათ ოსმალეთიდამ გადმოსახლებულ სომხების სასარგებლოთ.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ შარშან იმერეთიდამ ხუთი იქაურს სასულიერო სასწავლებელში სწავლა-შესრულებული ყმაწვილი ჩამოსულა აქ სემინარიაში შესასვლელად, მაგრამ არ მიუღიათ. ამ დროს ასჩენია იმათ ერთი ამ სემინარიის მასწავლებელი მ. იაროსლავი და უთქვამ, რომ ჩემთან დადეგით, მე გასწავლით და მერმის, უეჭველად მიგიღებენ სემინარიაშიო. ყმაწვილებს დაუჯერებიათ, კარგა ბლომა ფული მიუციათ, მაგრამ ამას სულყველას მუქთად ჩაუვლია, რადგან ეს ყმაწვილები წელსაც არ მიუღიათ სემინარიაში...

*** ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში გამოსული შაურიანი პატარა ქართული წიგნი, სახელად „სახალხო ლექსები“. ამ წიგნში ბევრი ჩინებულ პატარ-პატარა ლექსებია ჩართული, მაგრამ ზოგი უაზრო და უმნიშვნელო ლექსებიცა იპოვება.

*** ჩვენ მოგვივიდა ერთი თფილისის მახლობელ სოფლის გლეხის საჩივარი, რომლის დაბეჭდვაც საჭიროთ დავინახეთ:

„ამას წინათ, ბატონო მეგაზეთევ, ცოლი მომიკვდა უეცრივ და ღვდელს მივმართე—თუ დამარხე-მეთქი. ღვდელმა არა ქნა: ჯერ ფული მომიტანე და მერე დავმარხამო. მე ფული ვერ მოუტანე, რადგანაც ერთი წყალ—წაღებული და დაწვრილშვილებული ბეჩავი გლეხი გახლავარ. შემდეგ რაც სახლში საფენი თუ რამ მებადა, სუყველა მან გამომართო და დამარხა კიდეც ამ პირობით, რომ შემდეგ ფული უნდა მეშოვენა, მიმეტანა და მას ჩემთვის ჩემი ხალიჩები დაებრუნებინა.

„მაგრამ რა, თქვენს მტერს ნუ დეემართება, რაც მე დამემართა: მეორე კვირაში ახლა ერთი ვაჟი გამიხდა ავათ და საფენი არა მქონდა, რომ ქვეშ დამეგო. წაველი ღვდელთან და შევეხვეწე, რომ მას ერთი კვირით ჩემთვის ხალიჩა დეეთმო, რომ ავათმყოფისთვის გამეშალა; მაგრამ მან პანღურის კვრით გამამაგდო და არ შამიბრალა. მეორე კვირას ვაჟი მამიკვდა და დავრჩი დაღონებული..

„კიდევ ჩაველი ღვდელთან და შავატყობინე; ღვდელმა წინ ფულისა და გიროს თხოვნა დამიწყო, მე ესენი ვერ აღუსრულე და იგი არ მოვიდა სახლში დასამარხათ.

„სხვა ღვდელს შევეხვეწე... არც ის მოვიდა, რადგანაც ჩემი პრიხოდისა არა ხარო...

„შემდეგ შევგროვდით რამტენიმე გლეხნი და ულვდლოთ დავმარხეთ. სხვების რჩევით, ქალაქში საჩივარი ჩამოვიტანე ღვდელზე, და რადგანაც დიდი არქიელი ქალაქს არა ბძანდებოდა, მის მოადგილეს მივართვი, ქართველ არქიელსა; მაგრამ მან საშინლათ გამკიცხა, გამამაგდო ოთახიდამა და არაფერი სამართალი მამცა.“

## „დროების“ კორრესპონდენცია

გურიიდამ, 12 ენკენითვეს. ნათქვამია: „როგორიც მღვდელიო, ისეთი ერიო.“ მღვდელი რომ ამისთანა საქმეში ჩადის, ერმა რაღა უნდა ქმნას?

აი რა ჩაიდინა ჩვენის სოფლის მღვდელმა ს. დ—მ: ამას წინათ ამ მღვდელმა, როგორც მთელი სოფელი ამბობს, დაიბარა თავის სახლში ერთი მისი მოწაფეთაგანი ახალგაზდა ქმრიანა ქალი; შეიყვანა ოთახში და უთხრა, რომ იმან უნდა დაიფიცოს მაცხოვრის ხატზედ, რომ ის არ შემცდარიყოს და არც შესცდეს კვლავ..

ქალმა ჯერ უარი სთქვა, მაგრამ, რაკი მღვდლის სახლში იყო, რა გაეწყობოდა: დაიფიცა ფიცის ფურცელისამებრ, რომელიც წინათვე ჰქონდა თურმე მღვდელს გამზადებული.

ამ დროს ქალის ქმარს რაღაც ეჭვი აეღო და მღვდლის ფანჯარასთან მისულიყო და ეყურებია ყველაფერი. მაგრამ იფიქრა თურმე, მოძღვარია და მისი წესი ასე არისო..

გავიდა რამდენიმე ხანი; ქალი ავათ გახდა. ქმარმა იფიქრა—ეს სწორეთ იმ ფიცის ბრალია, რომელიც მღვდლისაგან მიიღო ჩემმა ცოლმაო, გაჰკურცხლა საწყალმა მღვდელთან და სთხოვა: ცოლი მიკვდება, ფიცი აუშვი, მომეხმარეო! მღვდელი წამოვიდა და რა ნახა ქალი ძლიერ ავათმყოფი, მიჰყო ხელი ფიცის ახსნას ამნაირათ: დაიჩოქა, აიკიდა ზურგზედ ქალი და სამჯერ შამოატარა სახლი; მერმე დასდვა დასავლეთის სახლის ნაწილში და მიაწვინა გვერდზედ ასე, რომ თავი ჩრდილოეთისკენ დაურჩა ქალს.

მაგრამ თურმე ქალი ორსული იყო და ამდენ თრევითა და ავათმყოფობით დასუსტებულ ქალს მუცელი წაუხდა (გაუცუდდა) და თვითონ ქალიც შემდეგ დამახინჯდა..

საწყალი ქმარი, ამ მღვდლის რჩევით, წელიწადშიდ ერთხელ ტახით და მამალით აწირვინებს ამავე მღვდელს, ეგებ ცოცხალი დარჩესო..

და ეს ამგვარი შემთხვევა პირველი და უკანასკნელი არ არის ჩვენს ცრუ-მორწმუნებით სავსე ქვეყანაში. განსაკუთრებით ახლა, როცა ასე ძლიერადაა ჩვენში სხვა-და-სხვა ავათმყოფობა, რამდენი საწყალი სული უნდა იღუპებოდეს ამ გვარის წამლების წყალობით!

ჯუმათელი

# უცხო ქვეყნები

## გერმანია

უცხო ქვეყნის გაზეთებში ბევრს სწერენ ამ ჟამად თ. ბისმარკისა და ანდრასჩის მოლაპარაკებაზედ ზალცბურგში. მომეტებული ნაწილი ამ გაზეთებისა დარწმუნებით ამბობენ, რომ ამ გერმანიისა და ავსტრო-ვენგრიის პირველ მინისტრებს არაფერი არ გადაუწყვეტიათ შესახებ რუს-ოსმალოს ბრძოლაში შუამდგომლობის კისრაზე და მებრძოლთ შერიგებაზედ. ამათ მხოლოთ გადაწყვიტესო, რომ საზოგადოთ აღმოსავლეთის საქმეებში გერმანია და ავსტრო-ვენგრია თანხმობით იმოქმედებენ და ერთი-უმეოროთ ამ საქმეების დაბოლოებაში მონაწილეობას არ მიიღებსო.

— ვენის გაზეთი „Presse“ გვაცნობებს, რომ, გერმანიის იმპერატორის ბრძანებით, ამ დღეებში 15 ნემეცი ექიმი გაიგზავნა რუმინიაში რუსის ჯარის მოსავლელათაო.

## საფრანგეთი

საფრანგეთის „ოფიციალურს ჟურნალში“ გამოცხადებულია მმართებლობის დეკრეტი კენჭის-ყრისათვის ამომრჩეველთ შეკრებისა. ნაციონალური კრება და სენატი 7 ნოემბერს შეიკრიბებიან ვერსალში.

## სერბია

ამბობენ, რომ სერბიის ტახტის მეძიებელის კარაგეორგიევიჩის პროკლამაციას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია სერბიაში; როგორც ისმის, იმის მომხრეებს თან-და-თან ძალა და გავლენა ემატება, ასე რომ შესაძლებელიაო, რომ მთავარი მილანი გადააყენონ და ეს კარაგიორგიევიჩი აიყვანონ სერბიის ტახტზედაო.

# საბაასო

## „იმერელი მღვდლის“ სტატიაზედ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ ადგილი თქვენ პატივცემულ გაზეთში შემდეგ სტრიქონებს, რომლებსაც ვსწერ ერთი იმერლის მღვდლის სტატიის („რას უნდა მიაქციოს იმერეთის სამღვდელოებამ ყურადღება ამ აგვისტოს 17-ის ყრილობაზედ?) გამო. ეს სტატია, სხვათა შორის, შეიცავს ჩემს ცილის-წამებასაც. ამიტომ მე საჭიროთ ვრაცხავ დავიცვა ჩემი პიროვანი პატიოსნება და ღირსება, რომლებსაც სვრის ეგ იმერლის მღვდელი. ხსენებული მღვდელი მხოლოდ ორ მუხლში მეხება მე, სახელდობრ 5 და 6-ში, რომლებითაც ის აჩვენებს იმერეთის სამღვდელოებას შემდეგ ღირს გამოსაძიებელ საქმეებს: „გარდაახდევინეს—თუ არა...“ „დააბრუნა თუ არა?“

იმერლის მღვდელს კარგათ უნდა ახსოვდეს, რომ ამ საგნის თაობაზე სემინარიის გამგეობაში მოვიდა რამდენიმე საჩივარი და უარიც გადაწყვიტეს ხსენებული ფულის ჩემგნით უკან დაბრუნებაზედ. მეორე სიცრუე ამავე პუნქტში— „ზედამხედველმა მისცაო.“ ზედამხედველმა კი არა, იმერეთის ეპისკოპოზმა, ყოვლად-სამღვდელო გაბრიელმა მომცა.

თქვენ წაგიკითხამთ, უეჭველია, ის ჩემი თხოვნა (18 ივნ. 1875), რომელზედაც იყო წარწერილი ეპისკოპოზის, ბრძანება: „მიეცეს მხოლოდ ერთი თვის ჯამაგირი...“ დიახ, წაგიკითხამს, მაგრამ მაინც შენსას გაიძახი: ორი თვისაო!

მე მერგებოდა კანიკულის ორი თვის (ივნისისა და აგვისტოს) ჯამაგირი, მაგრამ მხოლოდ ერთი თვისა კი მომცეს. ნუ ივიწყებ, იმერლის მღვდელო, რომ ეს ორი თვის ჯამაგირი მე მერგებოდა სასწავლებლის წესდებისა და უწმინდესის სინოდის გარდაწყვეტილების ძალით.

მე-6 მუხლში იმერლის მღვდელი თითქმის რაღაცა სასწავლებლის ნივთების ქურდობასაც კი მაბრალებს. ვიტყვი ჩემ სინიდისის ქვეშ, რომ ვიდრე იქ ვიყავი, მე სასწავლებლის ნივთებთაგანი არა მიხმარია-რა, გარდა ერთი რკინის კრაოტისა, რომელიც წამოსვლის დროს ჩავაბარე კუთვნილებისა-მებრ სასწავლებლის წევრებსა, რომლის მოწამენიც არიან ქუთაისის სობოროს კანდელაკი მღვდელი რ. გიგაუროვი და მასწავლებელი ხუციშვილი.

იმერლის მღვდელს თუ რამე სიმართლის თქმა სურვებოდე, ის პირ-და-პირ დაასახელებდა იმ ნივთებს, რომლების წამოღებასაც მე მაბრალებს; მაგრამ რას დაასახელებდა, რაც არა წამომიღია რა. მე ჩემი საკუთარი ნივთებიც ბევრი დამრჩა სასწავლებელში, წამოღების სიძნელის გამო, და სხვისას რა თავში ვიხლიდი!

ბოლოს ვიტყვი აი რას; ეს იმერლის მღვდელი მამაგონებს თავისით ერთ ზღაპრულ კაცს „რ ო მ ლ ი ს პ ი რ ი თ კ ა რ გ ი ს ი ტ ყ ვ ა ა რ ა მ ო ვ ი დ ო დ ი ს.“ („სიბრძნე სიცრუის წიგნი“, 38 გვერდი)

თფილისის რუსული ენის მასწავლებელი
მ. მაჭავარიანი

P. S. მიზეზი ამ პასუხის დაგვიანებისა ის გახლდათ, რომ როდესაც ეს სტატია გამოვიდა, მე მაშინ მთავრობის დანიშნულობით სამოგზაუროთ ვიყავ გაგზავნილი ერთის ქველის საქმის დასაგვირგვინებლად და არ მქონდა შემთხვევა იმ „დროების“ №-ის წაკითხვისა, რომელშიაც ხსენებული სტატია იყო დაბეჭდილი.

# ნარევი

თუ სადამდინ მიაღწევს ხანდისხან ცოლის გულ-გრილობა ქმრის სიცოცხლის შესახებ, დასამტკიცებლად შემდეგი ამბავი წაიკითხეთ, რომელიც ამერიკაში მომხდარა:

გამოჩენილი ნიაგარის წყალ-ვარდნილის მახლობლად ერთი ღარიბი ცოლ-ქმარი ცხოვრებდა. ამას წინათ ქმარი ამ წყალ-ვარდნილზედ გადადებულს ხიდზე გადადიოდა; ამ დროს რაღაც უბედურად, დაუცდა ფეხი, გადავარდა საშინელის სიმაღლიდამ და პირ-და-პირ მდ. ნიაგარში ჩავარდა. წყალმა მოიტაცა, რასაკვირველია; მაგრამ როცა ის იყო იმ ალაგას მიიყვანა, საიდამაც წყალი კლდიდამ ეშვება, ამ დროს მოვიდა გონზე, დაიწყო ცურვა, მიადგა ნაპირს და მოავლო კლდეს ხელი და შეიჩერა თავი. ნახევარ საათის განმავალობაში იყო ამ ნაირ მდგომარეობაში, სიკვდილს ებრძოდა, ბოლოს დასუსტდა, წყალმა მოიტაცა და შთანთქა.

უანგარიშო ხალხი მიცვივდა ამ ამბის საყურებლად; მივიდნენ ცოლთან და შეატყობინეს, რომ ქმარი გეღრჩობაო. რა ჰქნა ცოლმა? რადგან იმის სახლიდამ ყველაზე უკეთესი საყურებელი ალაგი იყო ნიაგარზე, იმან გამოაცხადა, რომ ვისაც ჩემის სახლიდამ და ფანჯრებიდამ ცქერა გინდათ—თუ როგორ იღრჩევა ემი ქმარიო, ათ-ათი შაური მოიტანეთო!...

* * *

ქვემოთ-მოყვანილის ტიერის წიგნიდამ დაინახავთ, რომ ეს გამოჩენილი კაცი ერთ დროს ძალიან კარგის აზრის ყოფილა ახლანდელ რესპუბლიკელების მოთავეზე—გამბეტტაზე. ეს კარგი აზრი ტიერმა პრუსიასთან ბრძოლის დროს შესცვალა, როცა გამბეტა თხოულობდა, რომ სანამ უკანასკნელი ღონის-ძიება გაგვაჩნია ვებრძოლოთ გერმანიას, ჩვენ დასამცირებელ მორიგების პირობას ნუ შეუკრავთო.

ხსენებული წიგნი ტიერს ერთის ავსტრიის პარლამენტის (რეიხსრატის) დეპუტატისათვის მიუწერია, როცა გამბეტტა ვენაში მიდიოდა. აი ეს წიგნი:

„მ. ხ. ნება მომეცით გაგაცნოთ ამ წიგნის გადმომცემი, ახალგაზდა, გამოჩენილი წევრი აქაურ (პარიჟის) ადვოკატების წოდებისა—უფ. გამბეტტა. საფრანგეთში უ. გამბეტტა დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნის; თუმცა ის ერთობ დაწინაურებულ პოლიტიკურ აზრებისაა, მაგრამ ჩემთვის სანატრელი იქნებოდა, რომ ბევრ ჩვენ კონსერვატორებს ჰქონდესთ ისეთი დამჯდარი, ნათელი და პრაქტიკული ჭკუა, როგორიც აქვს უფ. გამბეტტას.

